*დანართი №1*

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვი

შეფასების თარიღ(ებ)ი
27-28 ოქტომბერი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
21/11/2022



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | **შპს არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვი** |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება** |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | **208206895** |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | **ქ. თბილისი** |
| იურიდიული მისამართი | **ქ. თბილისი, დასახლება ლილო, (ნაკვეთი 06/013)** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ფაქტობრივი მისამართი | **ქ. თბილისი, დასახლება ლილო, (ნაკვეთი 06/013)** |
| საფოსტო ინდექსი | **0190** |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | **www.shovi.edu.ge** |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | **skolashovillc@gmail.com** |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | **2741754** |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | **იოსებ გუტაშვილი** |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | **595595851** |
| ელ-ფოსტა | **gutashviliioseb@gmail.com** |

**III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ**

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა შოვში ვიზიტის შესახებ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 30 სექტემბრის ბრძანება MES 0 22 0001193593 და 2022 წლის 20 ოქტომბრის ბრძანება MES 3 22 0001330052, 2022 წლის 30 სექტემბრის N1193593 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 27-28 ოქტომბერი, 2022 |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ქეთევან ბოტკოველი |
| წევრი (სახელი, გვარი) | ლიანა კობესაშვილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ლ. კობესაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | | | |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☐ | ☒ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☐ | ☒ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | | | |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | | | |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | | | |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი 3. ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | **მუხლი 7 / პუნქტი 3. გ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | **მუხლი 7 / პუნქტი 3. დ)** | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 | **მუხლი 7 / პუნქტი 3. ე)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | | | |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | **მუხლი 7/ პუნქტი ზ)** | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | **მუხლი 7/ პუნქტი თ)** | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | | | |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | | | |

**V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.1* | წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლა შენობას ფლობს იჯარის ხელშეკრულებით, რომელიც საქართველოს მთავრობის განკარგულებით, გაფორმებულია სსიპ - სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსთან 2022 წლის 31 დეკემბრამდე. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 29 სექტემბერს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან გაგზავნილი წერილი, რომლითაც თხოვნით მიმართავს მას იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით და ასევე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საპასუხო წერილი, რომლის თანახმად სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, რომლის დასრულებისა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე სკოლას ეცნობება დამატებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | შესაბამისად ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად სკოლა ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობას შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით, რომელიც 6 წლით განისაზღვრება (საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ - მუხლი 12. გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ). |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |

**VI. რეკომენდაციების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | .............. |
| | *1.2.* | ............... |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.1.* | ............... |
| | *2.2.* | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

**VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი** | • სკოლა ორიენტირებულია განვითრებაზე და იმართება დემოკრატიული პრინციპებით, რასაც ადასტურებს სკოლაში მოქმედი მოსწავლეთა თვითმმართველობა და ის ფაქტიც, რომ სკოლამ გადაწყვიტა სკოლის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით მიმართოს მოსწავლებს და გაითვალისწინოს მათი აზრი.<br>• 2022 წელს სკოლა "შოვს" სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისგან გადაეცა მადლობის სიგელი, პროექტში "შეფასება განვითარებისთვის" მონაწილეობისა და მხარდაჭერისთვის.<br>• სკოლის კურსდამთავრებულები სკოლაში მიღებული ცოდნით წარმატებით აბარებენ ეროვნულ გამოცდებს. არიან წარმატებული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ საქართველოს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში, რასაც ადასტურებს მადლობის წერილები.. |

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | სკოლა მიზნად ისახავს აღზარდოს ანალიტიკურად მოაზროვე, დამოუკიდებელი, მოტივირებული, წიგნიერი, კონკურეტუნარიანი, სამართლიანი და საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება.<br>სკოლა ოჯახთან ერთად ზრუნავს მოსწავლეთა უწყვეტ განვითარებასა და განათლებაზე, ხელს უწყობს მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების განვითარებას.<br>სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის ნორმებით.<br>სკოლას აქვს გამოწვევა, შექმნას საკუთარი ინდივიდუალური სახე და აღნიშნულ სეგმენტში საკუთარი ნიშა დაიკავოს. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

**VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა** | **არ გაცემულა** |

**IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

| | | |
|---|---|---|
| **მოსწავლეთა რაოდენობა: 280** | **ექსპერტი ეთანხმება** ☒ | **აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | **ექსპერტი არ ეთანხმება** ☐ | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და გასული სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება-SWOT ანალიზის სახით. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია სვოტ ანალიზის შედეგები.<br>წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს:<br>• **დღის რეჟიმს** - საგაკვეთილო პროცესი პირველკლასელთათვის არის 35 წუთიანი, მეორე კლასელთათვის 40 წუთიანი და დანარჩენი კლასებისთვის 45 წუთიანი 5 და 10 წუთიანი დასვენებებით<br>• **სასკოლო კალენდარს,** რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №84/ნ-ბრძანებასთან<br>• **სასკოლო საათობრივ ბადეს,** წლიურ ჯამური საათების რაოდენობას და თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს<br>• **შეფასების სისტემას**<br>• **გრიფირებულ სახელმძღვანელოების ჩამონათვალს** კლასებისა და დონეების მიხედვით<br>• **სადამრიგებლო პროგრამას** და დამრიგებლის უფლებასა და მოვალეობებს<br>• მასწავლებელთა **მორიგეობის სიას** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • **მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვას**<br>• **ინკლუზიური განათლების კონცეფციას**<br><br>სკოლაში მეორე **უცხოური ენა** ისწავლება მე-5 კლასიდან, მეორე უცხოურ ენად შეთავაზებულია არჩევანი გერმანულ და რუსულ ენებს შორის. მშობლების მოთხოვნით არჩეულია რუსული ენა. (სკოლამ წარმოადგინა ენის არჩევასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები), **არჩევითი საგნებიდან** სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ფოლკლორსა და მითოლოგიას, XIX-XX საუკუნეების დასავლურ ლიტერატურას და სახელმწიფო და სამართალს.<br>ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ **დამატებით სავალდებულო მომსახურებად სკოლას განსაზღვრული აქვს** ქართული ენა და ლიტერატურა XII კლასში და ინგლისური ენა - IX-XII კლასებში. დაწყებით კლასებში მოსწავლეების კითხვითი უნარების გაუმჯობესების, წიგნიერების განვითარებისა და პოპულარიზაციის, ესთეტიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით სკოლას აქვს შემუშავებული **საკუთარი პროგრამა სახელწოდებით „ზღაპარი“,** რომელსაც დამატებით სავალდებულო საგნად ასწავლის II-IV კლასებში. განსაზღვრულია საგნის კურიკულუმი. მიზნები, შედეგები, რესურსები.<br>სკოლაში ფუნქციონირებს **მათემატიკის წრე (V-VII კლ) და ჭადრაკის წრე (III-XII კლ.). მკითხველთა კლუბი II-XII (კლასები).**<br>სკოლაში გამოიყენება როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა 10 ქულიანი და 5 დონიანია. ის შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემასთან. განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი, დაკონკრეტებულია მოსწავლესთან დამატებითი მეცადინეობის საჭიროების შემთხვევები, სკოლაში ჩასატარებელი გამოცდის ტიპები, |

| | |
|---|---|
| | სემესტრული და საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი და შეფასების პრინციპი, შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა.<br>დამრიგებლებს აქვთ პორთფოლიოები რომლიც მოიცავს ინფორმაციას კლასის მოსწავლეთა და მშობელთა შესახებ, სახელმძღვანელოებისა და დამატებითი რესურსების შესახებ და სხვა. დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ კლასთან მუშაობის სემესტრული გეგმები, რომელიც მოიცავ მოსწავლეთა უნარებისა განმავითარებელ აქტივობებს.<br>ამრიგად სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითად ნაწილებს და ძირითადად ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტის მიღწევაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • 2022 წლის 8 სექტემბრის ბრძანება N1-10 სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ<br>• პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1 (2022წლის 8 სექტემბერი)<br>• დირექციასთან გასაუბრების შედეგები<br>• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები<br>• დამრიგებლებთან გასაუბრების შედეგები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი** | სკოლაში ფუნქციონირებს ხუთი საგნობრივი კათედრა:<br>• დაწყებითი კლასების კათედრა<br>• ქართული ენისა და ლიტერატურის და საზოგადოებრივ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მიმოხილვა და ანალიზი** | მეცნიერებათა კათედრა<br>• მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ისტ-ის კათედრა;<br>• უცხოური ენების კათედრა<br>• სპორტის და ესთეტიკური აღზრდის კათედრა<br>კათედრები მუშაობენ შესაბამისი დებულებების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია 2022 წის 8 სექტემბერს N1-08/კ ბრძანებით.<br>კათედრების პორთფოლიოებში თვმოყრილია კათედრების სამოქმედო გეგმები, მათ მიერ განხორციელებული და/ან გასახორციელებელი პროექტები და შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები/მოსწავლეთა ნამუშევრები და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. კათედრების მიხედვით წარმოდგენილია მატრიცები  და შეფასების რუბრიკები.<br>კათედრების პორთფოლიოში წარმოდგენილი პროექტები ემსახურება  შემოქმედებითი, თანამშრომლობითი, კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას.<br>კათედრები თემატური ერთეულების შესაბამისად გეგმავენ გასვლით გაკვეთილებს (მაგ. მწვანე გაკვეთილი-გარდენიეში. ისტორიის გაკვეთილები ეროვნულ მუზეუმში).<br>შერჩევის წესით შემოწმდა რამდენიმე საგნის შემაჯამებელი დავალებები და შესაბამისი ანალიზის ფორმები. შემაჯამებელ დავალებებში რიგ შემთხვევაში გამოყენებული იყო კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები მაგ: ტექსტის ანალიზი, ამოცანების ამოხსნა  და სხვა. რიგ შემთხვევაში-ტესტური დავალებები. სკოლას მიეცა რჩევა - შემაჯამებელ დავალებების ნაწილში ძირითადში გამოიყენოს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები.<br>მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება მოსწავლეთა ორგანიზების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. კობახიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა   --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სხვადასხვა ფორმა: წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა და მუშაობა მთელ კლასთან. მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანია ხელი შეუწყონ ცოდნის აგებას სოციუმში, მოსწავლეთა მოტივაციასა და საგნის თანამიმდევრულად და საფუძვლიანად სწავლებას.<br>მშობლებმა გასაუბრების დროს განაცხადეს, რომ მათი შვილები ნამდვილად ღებულობენ კარგ განათლებას და რომ ბავშვებს შეუძლიათ დამოუკიდებლად სწავლა რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში ისინი სწავლობენ თუ როგორ ისწავლონ. ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ბრძანება N1-08/კ კათედრების დებულებების, კათედრების დაკომპლექტებისადა სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პედაგოგთა მორიგეობის გრაფიკის შემოღების შესახებ 08.09.2022 წ<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები<br>• მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგები<br>• კათედრების პორთფოლიოები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი** | სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა გამოხატავს მზაობას შექმნას თანაბრად ხელმისაწვდომი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მიმოხილვა და ანალიზი** | საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის და მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფილი იქნება განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.<br>დოკუმენტში გაწერილია ასევე ინკლუზიური განათლების პრინციპები, რომელიც მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და გამოყენება, ისგ-ს ჯგუფის შექმნა, სსსმ აკადემიური მიღწევების შეფასება, ინფორმაცია სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შესახებ.<br>მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან სასწავლო სტრატეგიებს და დიფერენცირებულ სწავლებას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს საპატიო მიზეზით გაუცდა გაკვეთილები და საგანში გავლილი მასალის დასაძლევად ესაჭიროება კონსულტაციები უნიშნავენ დამატებით მეცადინეობას.<br>სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს თუმცა როგორც სასკოლო სასწავლო გეგმით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება მათი მზაობა იმუშაონ სსსმ მოსწავლესთან.<br>ამრიგად, სკოლა უზრუნველყოფს თავის მოსწავლეებს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები<br>• მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგები |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს შეფასების სისტემა, რომელიც თავსებადია ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სისტემასთან.<br>კათედრების პორთფოლიოში თავმოყრილია შეფასების რუბრიკები, რომელიც ასევე საკლასო ოთახებშია გამოკრული და სასწავლო თემასთან/საკითხთან მიმართებით ზუსტდება. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს.<br>შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებში მასწავლებლები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ რა გაუჭირდა კლასს და გეეგმავენ სამომავლოდ განსახორციელებელ ღონისძიებებს.<br>მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეების მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალების ანალიზის დროს გამოვლენილ ხარვეზებზე მუშაობა გრძელდება საგაკვეთილო პროცესში.<br>სკოლას პრაქტიკაში აქვს ასევე დამატებითი მეცადინეობების ორგანიზება იმ მოსწავლეებისათვის, ვისაც გარკვეული სირთულეები ექმნებათ სასწავლო პროცესში გაცდენების გამო. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო სასწავლო გეგმა<br>• შემაჯამებელი დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები<br>• შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები<br>• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები<br>• მშობლებთან გასაუბრების შედეგები<br>• მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგები |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში მოქმედებს მშობლებისათვის ხელმისაწვდომი სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა ,,EduPage”. გასაუბრების დროს მშობლებმა დაადასტურეს, რომ ელექტრონული ჟურნალი აძლევთ მათ საშუალებას სისტემატურად ადევნონ თვალი საკუთარი შვილების აკადემიურ მოსწრებას და გაეცნონ მათ სასწავლო შედეგების დინამიკას განმავითარებელი რუბრიკების დახმარებით.<br>I-IVკლასის დამრიგებლები, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, წერენ შემაჯამებელ წერილობით შეფასებას, რომელიც ინახება მოსწავლის პირად საქმეში.<br>მშობლებთან კომუნიკაციისათვის გარდა სასკოლო ჟურნალისა გამოიყენება კრებები, სოციალური ქსელი, სატელეფონო ზარები. ინდივიდუალური შეხვედრები.<br>მშობლები ჩართული არიან სასკოლო ღონისძიებებში. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ყველა იმ ღონისძიებაში, რასაც გეგმავს და ახორციელებს სკოლა მოსწავლეთა ინტერესებისა და სოციალური უნარების განვითარების მიზნით.<br>ამრიგად, სკოლაში მუშაობს მშობელთა ინფორმირების წესი და წახალისებულია მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ელექტრონული ჟურნალი ,,EduPage<br>• მოსწავლეთა პირადი საქმეები<br>• მასწავლებლებთან, დამრიგებლებთან, მშობლებთან გასაუბრების შედეგები |
| შეფასება: | ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან** | სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | გაუმჯობესების მიზნით შემუშავებულია „2022-2023 ს/წლის შპს არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა „შოვის" სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტი".<br>დოკუმენტით შეფასებას ექვემდებარება:<br>• კათედრების მუშაობა<br>• დამრიგებლების მუშაობა<br>• სასწავლო პროცესში გამოყენებული თვალსაჩონოებები, რესურსები, დამხმარე მასალების ეფექტიანობა<br>• მასწავლებლის პორტფოლიოს წარმოება<br>• მოსწავლეთა მიღწევები ცალკეული საგნების მიხედვით<br>• მშობელთა ჩართულობის ხარისხი<br>• შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის ფორმები<br>• მასწავლებელთა ურთიერთდასწრება<br>• განმავითარებელი შეფასებების გამოყენების ეფექტურობა<br><br>მონაცემების შეგროვების წყაროებს კი წარმოადგენს:<br>• ჯგუფური დისკუსიები, შეხვედრები<br>• საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება<br>• შესაბამისი დოკუმენტაცია და სხვა სახის წყაროები<br><br>სასკოლო-სასწავლო გეგმის მონიტორინგისთვის შემუშვებულია გეგმა. გეგმის შესაბამისად განხორციელებული სამუშაო შეჯამდება, დამუშავდება რეკომენდაციები და წარედგინება დირექციას. შემაჯამებელი ანგარიში ასევე წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს. შემუშავებული რეკომენდაციების გათვალიწინებით, შემუშავდება მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო გეგმა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • 2022-2023 სასწ.წ. ქ. თბილისის შპს არასახელმწიფო საერო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა „შოვის“ სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დოკუმენტი“<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები<br>• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | |
| **რჩევები:** | სკოლას მიეცა რჩევა - შემაჯამებელ დავალებების ნაწილში უმეტესად გამოიყენოს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები. |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| **2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:** | |
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 1897.34 კვ.მ.** | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან** | სკოლა მდებარეობს ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | განთავსებულია მის წილ ნაკვეთზე არსებულ სამსართულიან შენობაში N2 საერთო ფართით 1897.34 კვ.მ. (პირველი სართული 634.5 კვ.მ., მეორე სართული 631.39 კვ.მ., მესამე სართული 631.45 კვ.მ.). წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლა შენობას ფლობს იჯარის ხელშეკრულებით, რომელიც საქართველოს მთავრობის განკარგულებით, გაფორმებულია სსიპ - სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსთან 2022 წლის 31 დეკემბრამდე. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 29 სექტემბერს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან გაგზავნილი წერილი, რომლითაც თხოვნით მიმართავს მას იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით და ასევე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საპასუხო წერილი, რომლის თანახმად სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, რომლის დასრულებისა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე სკოლას ეცნობება დამატებით.<br>წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების თანახმად სკოლა ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობას შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით, რომელიც 6 წლით განისაზღვრება (საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ - მუხლი 12. გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ). |
| *ფაქტობრივი მისამართი* | თბილისი, ლილოს დასახლება (ნაკვეთი 06/013) |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | N 01.19.27.006.039 |
| *კვ.მ.* | 1897. 34 კვ.მ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** | • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. კოხტაშვილი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება (2017 წლის 06 ნოემბერი)<br>• 2022 წლის 29 სექტემბერს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან გაგზავნილი წერილი<br>• სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საპასუხო წერილი იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით<br>• აზომვითი ნახაზები |
| შეფასება | ☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **ზ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებაში 12 საკლასო ოთახია, რომლებშიც განთავსებულია 172 ინდივიდუალური მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი. ყველა საკლასო ოთახში დგას მასწავლებლის მაგიდა და სკამი, კიდია თაროები, პლაკატები. დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახებში და გეოგრაფიის კაბინეტში დამონტაჟებულია SMART ტელევიზორები (სულ 5) საერთო ჯამში სკოლის მართლზომიერ საკუთრებაშია 285 ინდივიდუალური მაგიდა და სკამი. სკოლაში არის ასევე 3 ოთახი განაყოფებისთვის და სხავდასხვა აქტივობისთვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შესყიდვის დოკუმენტაცია<br>• შენობის სკოლის ფართის აზომვითი ნახაზი<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის პირველ სართულზე (70 კვ, მ) და მესამე სართულზე (85კვ.მ) განთავსებულია სპორტული დარბაზები, ეზოში მდებარეობს ბუნებრივ საფარიანი სპორტული ღია მოედანი. მესამე სართულის სპრტული დარბაზის მიმდებარედ განთავსებულია ოთახი გასახდელებისთვის, რომელშიც ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. სპორტულ დარბაზში განთავსებულია 2 ჩოგბურთის მაგიდა და სხვადასხვა სპორტული ინვენტარი.<br>სკოლის სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლაში დაგეგმილია სპორტული მოედნის განახლება/მოწესრიგება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შესყიდვის დოკუმენტაცია<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში 1 დიდი საბუნებისმეტყველო კაბინეტია, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ლაბორატორიული მოწყობილობებით. კაბინეტში დგას კომპიუტერი და დამონტაჟებულია პროექტორი. კაბინეტში განთავსებულია ერთი დიდი გრძელი მაგიდა დამცავი ზედაპირით ცდების ჩასატარებლად. ოთახის კუთხეში, ფანჯარასთან, რომელსაც აქვს პატარა სარკმელი, დამონტაჟებულია ონკანი და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფანჯარაში ჩამონტაჯებულია გამწოვი. გამწოვი კარადის დამონტაჟება, 2022-2023 ს/წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, იგეგმება 2022 წლის დეკემბრისთვის. შემუშავებულია და კაბინეტებში გამოკრულია სასკოლო ლაბორატორიების სარგებლობის დებულება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შესყიდვის დოკუმენტაცია<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის დიდი საკლასო ოთახების ბუნებრივ განათებას უზრუნველყოფენ ასევე დიდი ფანჯრები.<br>სკოლის შენობა უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის უწყვეტი სისტემით, ხოლო გასათბობად გამოიყენება კონდიციონერები, რომლებიც ყველა საკლასო ოთახშია დამონტაჟებული. შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები (4-4 კაბინა), გოგონებისა და ვაჟებისთვის. მათ შორის ასევე ყველა სართულზე 2-2 კაბინა ადაპტირებულია შშმ პირისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარული ნორმები და დამონტაჟებულია თხევადი საპნის და ქაღალდის დისპენსერები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შესყიდვის დოკუმენტაცია<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| **2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის ბიბლიოთეკა მდებარეობს შენობის მე-3 სართულზე. თაროებზე განთავსებულია საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული 3950 წიგნადი ერთეული, მათ შორის მეთოდური და გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და პერიოდიკა (200 ერთეული). წიგნადი ფონდი აღრიცხულია ელექტრონულად, რომელიც სკოლის ვებგვერდზეც იძებნება. სკოლას აქვს ასევე ანბანური კატალოგი და მკითხველთა ბარათები. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანც გაფორმებულია შესაბამისი შრომის ხელშეკრულება. ბიბლიოთეკის ოთახში დგას 1 გრძელი მაგიდა და 1 კომპიუტერი.<br>ბიბლიოთეკის საქმიანობას არეგულირებს დებულება, რომელიც დამტკიცებულია შ.პ.ს. არასახელმწიფო საერო საუნივერსიტეტო საშუალო სკოლა ,, შოვის" დირექტორის მიერ (ბრძანება N1-14,10.09.2021) და შემუშავებულია ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა<br>ბიბლიოთეკარს დებულებისა და ხელშეკრულების თანახმად ევალება მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვა-გამგეობაში მოქმედი წესების შესაბამისად და აგრეთვე სასწავლო პროგრამებისა და გეგმების შედგენაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • წიგნადი ფონდის შესყიდვის დოკუმენტაცია<br>• ბიბლიოთეკის დებულება<br>• ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმა<br>• ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი<br>• ელექტრონული ბიბლიოთეკა<br>• ვებგვერდი<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სსსმ და შშმ პირთათვის სკოლას დამზადებული აქვს მოძრავი პანდუსები. ყველა სართულზე 2-2 კაბინა ადაპტირებულია შშმ პირისთვის (გოგონებისა და ვაჟებისთვის). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად ინტერნეტქსელში ჩართული 12 კომპიუტერი. სკოლის მფლობელობაშია ასევე 4 ლეპტოპი და 2 პროექტორი. მათ შორის, ისტ-ის კაბინეტში განთავსებულია 9 კომპიუტერი და 3 ლეპტოპი, ბიბლიოთეკაში 1 ლეპტოპი, დირექტორის კაბინეტში 1 და სამასწავლებლოში 2 კომპიუტერი. სკოლას დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული კომპანია სს"სილქნეტთან" და მაგთიკომთან.<br>სკოლის ვებგვერდია www.shovi.edu.ge რომელზეც არის ყველა ის ველი, რომელიც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ემსახურება. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ვებგვერდის განახლება.<br>საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას ემსახურება ასევე ელექტრონული ჟურნალი "EduPage".<br>ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია ვებგვერდზე სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებთან ერთად აიტვირთოს სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, შესრულებული სამუშაოს ანგარიშები და შინაგანაწესი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის ვებგვერდი **www.shovi.edu.ge**<br>• ელექტრონული ჟურნალი "EduPage"<br>• შესყიდვის დოკუმენტაცია<br>• დომენისა და ჰოსტიგის ხელშეკრულება |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:** | |
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი. საევაკუაციო გეგმების მიხედვით, შენობაში განთავსებულია 9 დამუხტული ცეცხლმაქრი, შესაბამისი საინფორმაციო პოსტერებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • შესყიდვის დოკუმენტაცია |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შენობის სამივე სართულზე, თვალსაჩინო, შესაბამის ადგილზე გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული საევაკუაციო გეგმები. სკოლას აქვს სათადარიგო გასასვლელიც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები<br>• საკადასტრო აზომვითი ნახაზები<br>• საევაკუაციო გეგმები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში შექმნილი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულად შეესაბამება 2022 წლის 21 მარტის N416/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტს და სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესს.<br>სკოლის პირველ სართულზე განთავსებულ სამედიცინო კაბინეტში, განთავსებულია შესაბამისი ინვენტარი: სამედიცინო ტახტი, შირმა, საკაცე, სასწორი, საათი, წამლების კარადა, რომელშიც განთავსებულია შესაბამისი მედიკამენტები და სხვა.<br>სკოლის ექთანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და მისი უფლება მოვალეობები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.<br>შემუშავებულია ჟურნალი, რომელშიც აღირიცხება მედიკამენტების გაცემის და ჩამოწერის ფაქტები.<br>სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს ექიმი. იხ. 3.4 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები<br>• ექთანთან გასაუბრება<br>• ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“ |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც სრულ შესაბამისობაშია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების მოთხოვნებთან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესათანხმებლად სკოლას გაგზვნილი აქვს შესაბამისი წერილი, შუამდგომლობისთვის ისანი-სამგორის რესურს ცენტრთან 2022 წლის 24 ოქტომბერს. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას პასუხი მიღებული არ ჰქონდა.<br>წესრიგის დაცვას სკოლაში უზრუნველყოფენ დამრიგებლები. ისინი ახორციელებენ კონტროლს და ზრუნავენ კლასში სასწავლო პროცესის დისციპლინის დაცვა–დამკვიდრებაზე, ეხმარებიან კლასის მასწავლებლებს სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობის სწორად განხორციელებაში, აკონტროლებენ სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა გაცდენა-დაგვიანებებს და დაუყოვნებლივ უზრუნველყოფენ მშობლის ინფორმირებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • დამრიგებლის პროგრამა<br>• დამრიგებლებთან გასაუბრება |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს უზრუნველყოფს შიდა 12 და გარე პერიმეტის 4 კამერა, რომლებიც შეესაბამება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.<br>ვიდეო კამერების გამოსახულების მონიტორინგს აწარმოებს სკოლის დირექტორი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ვიფეო კამერების შეძენის დოკუმენტაცია<br>• ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვისთვის შემუშავებულია სკოლის წესდება (დამტკიცებულია დირექტორის მიერ ბრძ.#1-14, 10.09.2021 წ.) და შინაგანაწესი (დამტკიცებულია დირექტორის მიერ ბრძ.N1-14, 10.09.2021 წ.), რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წესდებით განსაზღვრულია სკოლის მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი, სტრუქტურა და მართვა. განსაზღვრულია ასევე ყველა სტრუქტურული ერთეულის უფლება მოვალეობები, სკოლის ქონება, ფინანსები და სკოლის რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის საკითხები, ხოლო სკოლის შინაგანაწესი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის, შრომის კოდექსის, საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ, სკოლის წესდებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა საფუძველზეა შემუშავებული, ადგენს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს. შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მოსწავლის ქცევის, მასწავლებლისა და დირექტორის ეთიკის კოდექსები. ის ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებზე, სავალდებულოა შესასრულებლად და წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.<br><br>შინაგანაწესით რეგულირდება ასევე ისეთი საკითხები, როგორიც არის: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები, სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება შრომითი ურთიერთობის პირობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, მოსწავლის წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თავისებურებანი, მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება და მოსწავლის განცალკევება, მატერიალური პასუხისმგებლობა, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები, მოსწავლის ჩაცმულობის წესი, წახალისების ფორმები და დისციპლინარული პასუხისმგებლობა, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები, მოსწავლის ჩაცმულობის წესი, გარეგნული სახე და სხვა.<br>სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და მისი გაცნობის ვალდებულება იკითხება ხელშეკრულებებშიც.<br>სკოლაში საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულია ასევე სხვადასხვა დებულება: პედსაბჭოს დებულება; კათედრის დებულება; ბიბლიოთეკის დებულება, ერთიანი საქმისწარმოების დებულება, თვითმართველობის დებულება და სხვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის დებულება<br>• სკოლის შინაგანაწესი<br>• პედსაბჭოს დებულება<br>• კათედრის დებულება<br>• ბიბლიოთეკის დებულება<br>• ერთიანი საქმისწარმოების დებულება<br>• თვითმართველობის დებულება |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან** | სკოლას შემუშავებული აქვს ექვსწლიანი (2022-2027წწ.) და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (2022-2023 წწ). ორივე გეგმა დამტკიცებულია დირექტორის მიერ.<br>ექვსწლიანი გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და მოიცავს გრძელვადიან მიზნებს: სწავლა - სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; სკოლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფა; პოზიტიური და უსაფრთხო გარემოს შექმნა.<br>2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. დოკუმენტის თანახმად სხვა საკითხებთან ერთად სკოლა გეგმავს: სპორტული მოედნის და ეზოს კეთილმოწყობას, გამწოვი კარადის შეძენას ლაბორატორიისათვის, შენობის გარეთა ფასადის გალამაზებას.<br>სკოლამ წარმოადგინა ასევე 2021-2022 ს/წლის SWOTანალიზი, რომელშიც წარმოდგენილია სკოლის როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები ასევე გაუმჯობესების გზები და საფრთხეები.<br>სკოლას მიეცა რჩევა, სამოქმედო გეგმის შედგენის დროს მეტი ყურადღება დაუთმოს ანალიზის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა<br>• სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა<br>• სკოლის SWOT- ანალიზი |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან და რომლის თანახმად სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | და კორესპონდენციის აღრიცხვა. წესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ჟურნალები დანომრილი, აკინძული და ბეჭედდასმულია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • საქმისწარმოების წესი<br>• ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი<br>• პედსაბჭოს ოქმების აღრიცხვის ჟურნალი<br>• თანამშრომელთა ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი<br>• ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი მოსწავლეებისათვის<br>• ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი მასწავლებელთათვის და სხვა თანამშრომლებისთვის<br>• მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი<br>• შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი<br>• გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი<br>• მოსწავლეთა ჩაწერის ანბანური წიგნი<br>• შრომითი ხელშეკრულებების ღრიცხვის ჟურნალი<br>• პედაგოფიური საბჭოს ოქმების რეგისტრაციის ჟურნალი |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | |
| **რჩევები:** | სკოლას მიეცა რჩევა, სამოქმედო გეგმის შედგენის დროს მეტი ყურადღება დაუთმოს ანალიზის შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესებას. |
| **ხარვეზები:** | წარმოდგენილი დოკუმენტაციით სკოლა შენობას ფლობს იჯარის ხელშეკრულებით, რომელიც საქართველოს მთავრობის განკარგულებით, გაფორმებულია სსიპ - სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსთან 2022 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | წლის 31 დეკემბრამდე. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 29 სექტემბერს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან გაგზავნილი წერილი, რომლითაც თხოვნით მიმართავს მას იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით და ასევე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საპასუხო წერილი, რომლის თანახმად სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, რომლის დასრულებისა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე სკოლას ეცნობება დამატებით.<br>შესაბამისად ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად სკოლა ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობას შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით, რომელიც 6 წლით განისაზღვრება (საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ - მუხლი 12. გადაწყვეტილება ავტორიზაციის შესახებ). |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☒ **სტანდარტი დარღვეულია** |

**3. ადამიანური რესურსი**

| **3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | არსებული მდგომარეობით სკოლის სტრუქტურის და საშტატო განრიგის თანახმად სკოლას ჰყავს: 1 დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 ხარისხის მენეჯერი, 1 ბუღალტერი, 1 საქმეთა მმართველი, 1 ბიბლიოთეკარი, 2 დამლაგებელი, 1 ტექ. მუშაკი, 1 ექთანი, 1 IT სპეციალისტი და 20 მასწავლებელი.<br>ადმინისტრაციული და დამხმარე ტექ-პერსონალის და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებელთა უფლება-მოვალეობები გაწერილია წესდებაში და ხელშეკრულებებში სტატუსების შესაბამისად.<br>წარმოდგენილი ადამიანური რესურსი უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მართვას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება<br>• სკოლის საშტატო განრიგი<br>• სკოლის სტრუქტურა |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 20 |
| მოწვეული/მაძიებელი | 3/1 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | |
| უფროსი მასწავლებლი | 15 |
| წამყვანი მასწავლებლი | 1 |
| მენტორის სტატუსი | |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა, როგორც 20 მასწავლებლის პირადი საქმეები და მათში წარმოდგენილი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე Emis-ის ამონაწერი. შესაბამისად დადასტურდა, რომ სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა და კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად. სკოლაში სულ 20 მასწავლებელია, მათ შორის 15 მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის, ხოლო 1-ს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი. 3 მოწვეული და 1 მაძიებელი მასწავლებელია.<br>სკოლის ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს ცნობები რომლებითაც დასტურდება, რომ ისინი არ არიან ნასამართლევი და არ აქვთ ჩადენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • მასწავლებელთა პირადი საქმეები<br>• Emis-ის ამონაწერი<br>• მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br>• მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები<br>• მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები რეგულირდება შინაგანაწესით. დოკუმენტში აღწერილია სკოლაში დასაქმებულ პირებთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის, საბოლოო ანგარიშსწორებისა და დასაქმებულის წახალისების, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობების ფორმები.<br>შინაგანაწესი (მუხლი 6) არეგულირება სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღებასა და სამსახურებრივი შეთავსებას. ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ სკოლაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესით. წესით განსაზღვრულია ვაკანტური საათების შესავსებად შიდა და ღია კონკურსის ჩატარების ფორმები. წესის თანახმად განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტსივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე (მასწავლებლის ვაკანსიის შემთხვევაში www.teacherjobs.ge-ზე), ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს სკოლაში დასაქმებულთათვის ხელმისაწვდომ ადგილას.<br>შინაგანაწესით განსაზღვრულია ასევე დასაქმებულის წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები. მოტივაციის ამაღლების მიზნით, მოპოვებული წარმატებისათვის ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:<br>• მადლობის გამოცხადება<br>• სიგელით დაჯილდოვება<br>• ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა<br>წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებლივი აქტით და ინახება დასაქმებულის პირად საქმეში.<br>შინაგანაწესით განსაზღვრულია ასევე დასაქმებულის დისციპლინური გადაცდომის შემთხვევები. მათ შორის არის :<br>• დასაქმებულის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა, სკოლის შინაგანაწესის ან/და სკოლის წესდების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;<br>• დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება;<br>• დასაქმებულის, მოსწავლის ან სკოლის დისკრედიტაციისკენ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მიმართული უღირსი საქციელი, ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დარღვევა.<br>• დასაქმებულის ქმედება, რომელიც ლახავს სკოლის ავტორიტეტს;<br>• მასწავლებლის მიერ მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა და მრავალი სხვა.<br>შინაგანაწესით (მუხლი 17) რეგულირდება ასევე დისციპლინური სახდელები: შენიშვნა, გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, სამსახურიდან გათავისუფლება. ამავე მუხლში დეტალურად არის აღწერილი, თუ რა დარღვევის დროს, რა სახდელები გამოიყენება.<br>დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლების) დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი ან დისციპლინური კომიტეტი, ხოლო მასწავლებელთა გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოა დისციპლინური კომიტეტი.<br>დასაქმებულის სანქციების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება ასევე სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სკოლის შინაგანაწესი<br>• სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლაში დასაქმებულ ყველა პირთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას. შრომითი ხელშეკრულებები შეიცავს შემდეგ პუნქტებს: ზოგად დებულება, მხარეთა უფლება -მოვალეობა, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სამუშაო დრო, შესვენების დრო, შესვენების მიცემის წესი, შრომის ანაზღაურების წესი, მხარეთა პასუხისმგებლობისა და ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა.<br>სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ექთანთან, თუმცა ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა რჩევით ვაკანსია გამოცხადდა ექიმის თანამდებობაზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • შრომითი ხელშეკრულებები<br>• პერსონალის პირადი საქმეები |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულება დასახული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვნად მიიჩნევს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას და შესაბამისად პროფესიული ზრდის მოტივაციის შექმნას.<br>მასწავლებლის შეფასების მიზნით დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შესაბამისად ახდენს საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, საჭიროებიდან გამომდინარე აძლევს მასწავლებლებს განმავითარებელ შეფასებას და კონკრეტულ რეკომენდაციებს, თუ რა გზებით შეიძლება გაიუმჯობესონ პროფესიული უნარები. წარმოდგენილი სერტიფიკატებით მასწავლებლებს უდასტურდებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგებისა და ვებინარების გავლა.<br>ვიზიტის პერიოდში სკოლის ექთანი გადიოდა ლექცია/პრაქტიკულ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სემინარს სკოლის ექიმებისათვის;<br>სკოლის ადმინისტრაციასთან და შესაბამის პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი ტექნიკურ პერსონალს, მათი უფლებამოსილების ფარგლებში, უტარებენ საორიენტაციო ხასიათის შეხვედრებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • ბრძანება N1-16 /კ(ა) ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების დამტკიცების თაობაზე 2021 წლის 10 სექტემბერი<br>• ბრძანება N1-16/კ(ა) ჯგუფის წევრების დამტკიცების თაობაზე 2021 წლის 10 სექტემბერი<br>• ბრძნება N1-13/კ(ა) ჯგუფის წევრების დამტკიცების თაობაზე 2022 წლის 8 სექტემბერი |
| შეფასება: | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| **3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას** | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ნამდვილად სუფევს დაცულობის, ურთიერთპატივისცემის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მასწავლებლები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ერთმანეთისა და სკოლის დირექციის მიმართ, აღნიშნავდნენ, რომ საჭიროებისამებრ ეხმარებიან ერთმანეთს გაკვეთილების დაგეგმვაში, პრობლემების გადაწყვეტაში და ახალი საკითხების განხილვაში. ისინი საუბრობდნენ იმ დახმარებების შესახებ, რომლებსაც სკოლის დირექცია მათი პროფესიული განვითარების მიმართულებით იჩენს. იგულისხმება ტრენინგების, სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ხარისხის მენეჯერის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მიერ ჩატარებული სემინარები.<br>მშობლებთნ გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ სკოლა მუდმივად ზრუნავს მათი შვილების უსაფრთხოებისთვის. ყოველი გაცდენის თუ დაგვიანების შემთხვევაში უკავშირდებიან და საქმის კურსში აყენებენ მათ. საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან მათ შვილებს სირთულეების დაძლევაში და უტარებენ ინდივიდუალურ დამატებით გაკვეთილებს, ასევე სკოლის მთავარ პრიორიტეტად ასახელებდნენ იმას, რომ მათ შვილებს არ სჭირდებათ რეპეტიტორები. მოსწავლეებთან გასაუბრების დროს, რომელიც სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან ჩატარდა, გამოიკვეთა, რომ სკოლაში სუფევს მეგობრული გარემო და მათ უტარდებათ საინტერესო, მრავალფეროვანი გაკვეთილები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | • სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგები |
| **შეფასება:** | ☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია** |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | |
| **რჩევები:** | |
| **ხარვეზები:** | |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

**XI. თანდართული დოკუმენტაცია**

თბილისი, 21.11.2022

გვერდების რაოდენობა -47



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.